სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/12

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2024

უნივერსიტეტის საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 19 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/06 დადგენილებით დამტკიცებულ საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უხელმძღვანელოს საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესს, მოამზადოს პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციისთვის დასკვნები;“;

ბ) მე-3 მუხლს დაემატოს მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცენტრი უფლებამოსილია, განახორციელოს უნივერსიტეტის ფარგლებში საერთაშორისო აკრედიტაციის შესახებ ცოდნის დისემინირება შებამისი სემინარების, ვორქშოფების ორგანიზებით.“.

2. დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**